

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
დადგენილება #15

2014 წლის 7 თებერვალი,

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აფხაზეთის მოზარდ მაცურებელთა სახელმწიფო თეატრ „თეთრი ტალღის“ რეორგანიზაციისა და მის ბაზაზე საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოხუმის მოზარდ მაცურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრ - „თეთრი ტალღის“ ჩამოყალიბების შესახებ

მუხლი 1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აფხაზეთის კანონის მე-6 მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ აფხაზეთის კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად:

1. რეორგანიზებულ იქნეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აფხაზეთის მოზარდ მაცურებელთა სახელმწიფო თეატრი „თეთრი ტალღა“ და მის ბაზაზე ჩამოყალიბდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოხუმის მოზარდ მაცურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი - „თეთრი ტალღა“ (შემდგომში - თეატრი).

2. თეატრი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აფხაზეთის მოზარდ მაცურებელთა სახელმწიფო თეატრ „თეთრი ტალღის“ უფლებამონაცვლე.

3. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ (დირექტორი ჯაიანი) უზრუნველყოს:

ა) თეატრის სახელმწიფო კონტროლის განხორციელება;

ბ) თეატრის დებულების დამტკიცება და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნა;

გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აფხაზეთის მოზარდ მაცურებელთა სახელმწიფო თეატრ „თეთრი ტალღის“ რეორგანიზაციასთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

4. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ (ვ. ხორავა) უზრუნველყოს თეატრისთვის საჭირო ქონების გადაცემასთან დაკავშირებით კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

5. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ აღნიშნული ცვლილება გაითვალისწინოს „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის კანონში.

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აფხაზეთის მოზარდ მაცურებელთა სახელმწიფო თეატრი „თეთრი ტალღა“-ს შექმნის შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის 2007 წლის 26 მარტის #12 დადგენილება.

მუხლი 3. დადგენილების შესრულებაზე კონტროლი უზრუნველყოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატმა (ო. გარმელია).

მუხლი 4. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

ვახტანგ ყოლბაია